

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, რაც აგრეთვე მოიცავს დარგში დასაქმებული სუბიექტების კანონიერი ინტერესების დაცვისა და არსებული რეალობის საკანონმდებლო წესით დარეგულირებას. აგრეთვე, აღნიშნული კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს და დაარეგულირებს საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რაც შესაძლებელს გახდის მეტი თანამედროვე ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების გახსნას და ადგილობრივი კადრების დასაქმებას. ამავდროულად, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ეფექტურად განხორციელდეს ნავთობისა და გაზის მოპოვების, ბუნებრივი წყალბადის მოპოვების, ნავთობისა და გაზის გადამუშავების და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება, ზედამხედველობა და მონიტორინგი.

უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიოში აქტუალობა შეიძინა და ვითარდება ნახშირწყალბადების ალტერნატიული ნედლეულის მოპოვება და გამოყენება. განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს ბუნებრივი წყალბადის მოპოვება და გამოყენება. ეს მიმართულება დღეისათვის საქართველოში არ არის სათანადოდ შესწავლილი და შესაბამისად არ ხდება მისი პრაქტიკაში გამოყენება, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით საქართველოში არც ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება არსებობს, რაც ხელს უშლის ინვესტიციებს საქართველოში დანერგონ და განახორციელონ ინვესტიციები ბუნებრივი წყალბადის მოპოვების კუთხით.

საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვებას მდიდარი ტრადიცია გააჩნია და თითქმის მთელი საქართველო დაყოფილია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის სალიცენზიო ბლოკებად, სადაც აქტიურად მიმდინარეობს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების სამუშაოები. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ახლო მომავალში ინვესტიციები გამოთქვამენ სურვილს ნავთობისა და გაზის მოპოვების პარალელურად დაიწყონ ბუნებრივი წყალბადის მოპოვება და კომერციალიზაცია. ბუნებრივი წყალბადის

მოპოვება პირდაპირ კავშირშია მიტოვებულ/ლიკვიდირებულ ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ხელახალ დამუშავებასთან და ათვისებასთან.

ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვა და გამოყენება, უზრუნველყოფს რეზერვუარებში დარჩენილი ნავთობისა და გაზის მოპოვების გაზრდასა და შესაძლებელს ხდის ბუნებრივი წყალბადის მოპოვებას (მათ შორის, მიტოვებული ჭაბურღილებიდანაც). განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ნავთობისა და გაზის მიტოვებული/ლიკვიდირებული ჭაბურღილებიდან ბუნებრივი წყალბადის მოპოვება, რაც ახანგრძლივებს გამოფიტული საბადოების სასიცოცხლო ციკლს და ქმნის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი წყალბადის საკითხით დაინტერესება ხდება მთელ მსოფლიოში და არსებული პრაქტიკის თანახმად, ბუნებრივი წყალბადის საკითხების რეგულირება ექცევა ნავთობისა და გაზის რეგულირების სფეროში. მაგალითისთვის, ავსტრალიაში 2021 წელს საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ბუნებრივი წყალბადი მიეკუთვნა „ნავთობისა და გეოთერმული ენერგიის შესახებ“ კანონის რეგულირების სფეროს და ნავთობის ძებნა-ძიების და მოპოვების (PELs) ლიცენზიის მფლობელს მიენიჭა ბუნებრივი წყალბადით სარგებლობის უფლება. კანადაში, 2022 წელს, ბრიტანული კოლუმბიის პროვინციამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ბუნებრივი წყალბადი მიაკუთვნება ენერგორესურსებს და მისი რეგულირების უფლებამოსილება ენიჭება ენერგორესურსების, მათ შორის ნავთობისა და გაზის მარეგულირებელს BC Energy Regulator-ს (BCER). საფრანგეთში, 2022 წელს, „სამთო კოდექსში“ შეტანილი ცვლილების თანახმად, ბუნებრივი წყალბადს მიენიჭა ბუნებრივი რესურსის კატეგორია. საფრანგეთი ეკონომიკის სამინისტრომ, რომელიც გასცემს ნავთობისა და გაზის ლიცენზიებსაც, გასცა პირველი ლიცენზია ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიების მიზნით.

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნავთობისა და გაზის რესურსები არის სახელმწიფო საკუთრება და ნავთობისა და გაზის ძებნა - ძიება და მოპოვება შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს სახელმწიფომ, თუმცა არაა მკაფიოდ და ზუსტად აღწერილი ის მექანიზმი, თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ამ ექსკლუზიური უფლების გამოყენება. ამის გათვალისწინებით, აუცილებელი ხდება ისეთი ნორმატივის შემუშავება, რომელიც საკანონმდებლო დონეზე სახელმწიფოს მისცემს საშუალებას თავად აწარმოოს ნავთობისა და გაზის ან/და ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიება და მოპოვება.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტი შემუშავებულია ზემოხსენებული შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის პირობებში შეუძლებელია ბუნებრივი წყალბადის (წიაღში აკუმულირებული ბუნებრივი წყალბადის) მოპოვებასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება.

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ბუნებრივი წყალბადის მოპოვება ნავთობისა და გაზის მოპოვების ანალოგიურ პროცედურებს გულისხმობს და ხშირ შემთხვევაში მოიპოვება ნავთობისა და გაზის გამოფიტული ან მიტოვებული საბადოებიდან. შესაბამისად, ინვესტორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია, რათა მან განახორციელოს წიაღის შესწავლა, ბურღვითი სამუშაოები და ბუნებრივი წყალბადის მოპოვება, შენახვა და ა.შ. ასეთ

ცოდნას, კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რასაკვირველია ფლობენ ნავთობისა და გაზის კომპანიები, მათ შორის საქართველოში მოღვაწე კომპანიები. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, ბუნებრივი წყალბადის მოპოვების უფლება მიენიჭოს ნავთობისა და გაზის კომპანიებს მათთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ფარგლებში.

რასაკვირველია, აღნიშნული სიახლეების „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში დანერგვის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება საქართველოს მიერ ენერგოეფექტურობის, მწვანე და განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მიმართ მსოფლიოში არსებული ტენდენციები და მიდგომები.

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის არსებული რედაქცია არ აკონკრეტებს, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფოს მიერ ამავე ნავთობისა და გაზის ან/და ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიება და მოპოვება, რაც საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს და აუცილებელია დადგინდეს პროცედურა, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს განახორციელოს საქმიანობა თავისუფალ სალიცენზიო ბლოკზე.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებისა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ფარგლებში ინვესტორს და სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციები.

ასევე, ცალკე განისაზღვრება ნავთობის ეროვნული კომპანიისათვის სახელმწიფოს სახელით ნავთობისა და გაზის ოპერაციების ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლებების მინიჭების პროცედურული საკითხები იმ სალიცენზიო ფართობზე, რომელზეც არცერთ ინვესტორს არა აქვს მინიჭებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩატარების უფლება.

ამასთან, კანონპროექტის მიღებით აღმოიფხვრება ნავთობისა და გაზის მოპოვების, გადამუშავების, შეგროვების, მომზადების, შენახვის და ტრანსპორტირების განხორციელების პროცესში არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული ხასიათის ხარვეზები, რომლებიც აფერხებს ნავთობმრეწველობის სფეროში ინვესტიციების მოზიდვას და დარგის განვითარებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილებით, კანონით დადგენილი პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ინვესტორს მიენიჭება უფლება ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასთან და მოპოვებასთან ერთად განახორციელოს ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების ოპერაციები. ამისათვის „ნავთობისა და გაზის“ შესახებ საქართველოს კანონში ხორციელდება რიგი ცვლილებები, კერძოდ, განიმარტება ბუნებრივი წყალბადის და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ცნებები. ფართოვდება/ზუსტდება პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების და მის საფუძველზე გასაცემი ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ცნებები. კერძოდ, დგინდება, რომ ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლება შესაძლებელი იქნება სახელმწიფოსთან

გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების ფარგლებში. შესაბამისი დებულებების პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში შეტანა შესაძლებელი იქნება ტენდერში გამარჯვებული ინვესტორის დაინტერესების შემთხვევაში, სააგენტოსა და ინვესტორს შორის ამ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოების პროცესში. ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლების მოპოვებას შეძლებენ ასევე ის ინვესტორები, რომლებსაც სააგენტოსთან უკვე გაფორმებული აქვთ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საფუძველზე. ორივე შემთხვევაში, ინვესტორზე გაიცემა ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, რომელიც დაადასტურებს ინვესტორისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებასთან ერთად ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლებასაც. კანონპროექტში ბუნებრივი წყალბადის ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები ტექნიკური ხასიათისაა და ემსახურება ინვესტორის მიერ სწორად ამ უფლებების საკანონმდებლო დონეზე შეუფერხებლად გამოყენების შესაძლებლობას.

აგრეთვე, საკანონმდებლო დონეზე დგინდება ნავთობის ეროვნული კომპანიის მიერ თავისუფალ სალიცენზიო ბლოკებზე, სახელმწიფოს სახელით, ნავთობისა და გაზის ძებნა ძიებისა და მოპოვების ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ძებნა ძიებისა და მოპოვების ოპერაციების განხორციელებისათვის აუცილებელი ნორმატივები. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების განსახორციელებლად შემუშავებულ პროექტს მიენიჭება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტის სტატუსი. ასეთი სტატუსის მინიჭების საკითხს გადაწყვეტს საქართველოს მთავრობა - განკარგულებით. აღნიშნული ცვლილების ფარგლებში, ნავთობის ეროვნული კომპანია ნავთობისა და გაზის ოპერაციებს და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციებს განხორციელებს სააგენტოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად, ანუ იმოქმედებს როგორც ინვესტორი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, ვინაიდან, კანონპროექტით დასარეგულირებელი საკითხები შეეხება პირთა ფართო წრეს, მიზანშეწონილია, ახალი რეგულაციების ამოქმედებამდე მოხდეს შესაბამისი სუბიექტების ინფორმირება. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია შემდეგ გარემოებათა გამო: უკანასკნელ პერიოდში, ბუნებრივი წყალბადის მოპოვებისა და გამოყენების საკითხი აქტუალურია მსოფლიოში. საქართველოში, ამ ეტაპზე, ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის გამო. ცვლილებების დროულად მიღების შემთხვევაში გააქტიურდება პოტენციალური ინვესტორების დაინტერესება ამ მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში წყალბადის რესურსების გამოყენების დროულად შესწავლის საკითხს. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ნავთობის ეროვნული კომპანიის მიერ ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების უფლების მოპოვების შესაძლებლობას, რაც საშუალებას მისცემს აღნიშნულ კომპანიას დაჩქარებულად განახორციელოს მნიშვნელოვანი პროექტები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სააგენტოს ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოსთვის გათვალისწინებულ ასიგნებები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

საკანონმდებლო პაკეტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ კანონპროექტით ბუნებრივი წყალბადისთვის დგინდება მოსაკრებელი 1000მ³-ზე 2 ლარის ოდენობით, ეს თანხა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, თუ ბუნებრივი რესურსი მოპოვებული იქნება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიემართება ავტონომიურ რესპუბლიკის ბიუჯეტში, ხოლო თუ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მის ბიუჯეტში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კანონპროექტით არაა გათვალისწინებული ახალი ლიცენზიის შემოღება, არამედ ხდება ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ფარგლებში ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლების მინიჭება. არ იცვლება აღნიშნული ლიცენზიისათვის დადგენილი გადასახადი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვებით ან/და ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვებით დაინტერესებული პირი გადაიხდის დღეის მდგომარეობით კანონით დადგენილ ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის სალიცენზიო მოსაკრებელს 22 000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. კანონპროექტის მიღებით შესაძლებელი გახდება სრულიად ახალი რესურსის - ბუნებრივი წყალბადის მოპოვება, რაც აქამდე არ განხორციელებულა არა მარტო საქართველოში არამედ მთელს რეგიონში. ინვესტორის მიერ მოპოვებული ბუნებრივი წყალბადის მიმართ არ მოქმედებს ნავთობისა და გაზის განაწილების ანალოგიური სქემა, შესაბამისად სახელმწიფო არ მიიღებს მოპოვებული წყალბადიდან წილს. გასათვალისწინებელია, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადებითი გავლენა, რასაკვირველია დამოკიდებული იქნება მოპოვებული ბუნებრივი წყალბადის რაოდენობაზე, რომლის ზუსტი პროგნოზირება დღეის მდგომარეობით შეუძლებელია, ვინაიდან არ არის მონაცემები ბუნებრივი წყალბადის მარაგებთან დაკავშირებით. აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციებს განახორციელებენ ნავთობკომპანიები და აუცილებლად დადგება საკითხი დამატებით ახალი კადრების აყვანასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ უკავშირდება ნავთობკომპანიების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის გადახდას, რაც დადებითად აისახება შესაბამისად სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების რეგულირების შემოღება გამოიწვევს აუცილებლობას მომზადდეს შესაბამისი კადრები, განხორციელდეს თანამშრომლების მივლინება და სწავლება იმ კომპანიებში, რომლებიც უკვე საქმიანობენ ბუნებრივი წყალბადის მოპოვების სფეროში. ვინაიდან ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების რეგულირებას განახორციელებს სააგენტო, აგრეთვე მაღალი ალბათობით დადგება საკითხი დამატებით ახალი კადრების აყვანასთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის და ბუნებრივი წყალბადის ძებნის და მოპოვების სპეციფიკა და მათი განხორციელება სრულად შეესაბამება ერთმანეთს, შესაბამისად სააგენტოს ნავთობის დარგის არსებული სპეციალისტები არ საჭიროებენ ისეთი სახის სპეციალურ გადამზადებას, რომელიც უკავშირდება ახალი პროფესიის ათვისებას, ანუ ტრეინინგების მეშვეობით შესაძლებელი იქნება დამატებითი კვალიფიკაციის მიღება. ვინაიდან სააგენტოს ფუნქციებს ემატება ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ზედამხედველობა და მონიტორინგი, მონიტორინგის განხორციელება, სავარაუდოდ, გამოიწვევს სამივლინებო ხარჯების გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ სალიცენზიო ობიექტები განლაგებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მივლინებები, როგორც წესი, ხორციელდება 1-7 დღემდე ვადით, თითო სამივლინებო ჯგუფი შედგება მინიმუმ 3 სპეციალისტისაგან, გამოიყოფა 1 სატრანსპორტო საშუალება. არც თუ იშვიათია პარალელურად განხორციელდეს 2-4 სამივლინებო ჯგუფების გასვლა სალიცენზიო ფართობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს დაახლოებით 27 სალიცენზიო ფართობის, 200 ჭაბურღილის, 15 ნავთობშემკრები პუნქტის, 4 ნავთობის მომზადების/შენახვის ობიექტის, 5 გადამამუშავებელი ქარხნის და 2 გაზსადენის ზედამხედველობას და მონიტორინგს, როგორც გეგმიურად, აგრეთვე დაუგეგმავად-შუალედურად. რაც შეეხება სამივლინებო ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები კანონმდებლობით არის დადგენილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან სააგენტოს ემატება ფუნქციები ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების რეგულირებასთან დაკავშირებული, აღნიშნული რეგულაციების შემოღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოსთვის გათვალისწინებულ ასიგნებებზე.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ როგორც სააგენტოს, ასევე ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების განმახორციელებელ ნავთობკომპანიებს შესაძლებელია მოუწიოთ დამატებითი კადრების აყვანა, შესაბამისად სააგენტოს შეიძლება გაეზარდოს სახელფასო

ანაზღაურების ხარჯები. გარდა ამისა, როგორც სააგენტოში, ისე ნავთობკომპანიებში დასაქმებული ახალი კადრები შეიძლება ჩართული იყვნენ დაგროვებით საპენსიო სქემაში, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის დამატებით ხარჯებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

ინვესტორს შესაძლებლობა ექნება ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოქმედების ფარგლებში განახორციელოს არა მარტო ნავთობისა და გაზის ძებნა ძიების და მოპოვების ოპერაციები, აგრეთვე მას დამატებით მიეცემა უფლება განახორციელოს ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები. შესაბამისად, ინვესტორს მეტი მოტივაცია ეძლევა საქართველოში განახორციელოს ნავთობისა და გაზის ოპერაციები, ვინაიდან მას გაეზრდება შემოსავალი ბუნებრივი წყალბადის რეალიზაციის შედეგად. ვინაიდან მოპოვებული ბუნებრივი წყალბადის მიმართ არ მოქმედებს ნავთობისა და გაზის სახელმწიფოსთან განაწილების ანალოგიური სქემა, მოპოვებული ბუნებრივი წყალბადი სრულად გადაეცემა ინვესტორს.

სახელმწიფოს, ნავთობის ეროვნული კომპანიის სახით, ასევე ექნება შესაძლებლობა აწარმოოს ნავთობისა და გაზის ოპერაციები (კანონის არსებული რედაქცია არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელების მექანიზმს) ასევე ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები, რის უფლებასაც ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების გენერალური ლიცენზიის მფლობელებს ანიჭებთ წინამდებარე ცვლილება. ნავთობის ეროვნული კომპანია მიიღებს შემოსავალს განხორციელებული საქმიანობიდან, ხოლო ბიუჯეტთან მიმართებაში იმოქმედებს როგორც ჩვეულებრივი სამეურნეო სუბიექტი. ახალი ინვესტორები, რომლებიც ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების უფლებასთან ერთად მოიპოვებენ ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლებასაც, ერთჯერადად გადაიხდიან სალიცენზიო მოსაკრებელს 22 000 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო, ის ინვესტორები, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიას და დაინტერესებულები არიან წყალბადის ოპერაციების უფლების მოპოვებით არ იქნებიან ვალდებული განმეორებით გადაიხადონ სალიცენზიო მოსაკრებილი, რადგან ის გადაიხდება მხოლოდ ერთხელ.

ბუნებრივი წყალბადის მოპოვებისათვის ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის ის მფლობელები, რომლებიც აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში მიიღებენ ბუნებრივი წყალბადის მოპოვების უფლებას, გადაიხდიან „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ კანონპროექტით ბუნებრივი წყალბადისთვის დადგენილ მოსაკრებელს 1000მ³-ზე 2 ლარის

ოდენობით. ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება ჩასატარებელი ოპერაციების ტიპზე (მიწისზედა, ბურღვითი, უკვე არსებული ჭაბურღილების გამოყენებით და ა.შ.).

ვინაიდან ბუნებრივი წყალბადის ოპერაციებს განახორციელებენ ნავთობკომპანიები, შეიძლება დადგეს საკითხი დამატებით კადრების აყვანასთან დაკავშირებით და კომპანიებს გაეზრდებათ სახელფასო ანაზღაურების ხარჯები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის და ბუნებრივი წყალბადის ძებნის და მოპოვების სპეციფიკა და მათი განხორციელება სრულად შეესაბამება ერთმანეთს, შესაბამისად ნავთობკომპანიების არსებული სპეციალისტები არ საჭიროებენ ისეთი სახის სპეციალურ გადამზადებას, რომელიც უკავშირდება ახალი პროფესიის ათვისებას, ანუ ტრეინინგების მეშვეობით შესაძლებელი იქნება დამატებითი კვალიფიკაციის მიღება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ²) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.